საქართველო
მოკლე მიმოხილვა

ჯანმრთელობის საერთაშორისო წესები (IHR) და ჯანმრთელობის გლობალური უსაფრთხოების დღის წესრიგი (GHSA)

ჯანმრთელობის საერთაშორისო წესები (IHR) ქმნის ჯანმრთელობის გლობალური უსაფრთხოების საფუძველს, რომლის ჩარჩოც მიმართულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისკენ, რომელთაც გააჩნიათ საერთაშორისოდ გავრცელების პოტენციალი. ჯსწ-ს წარმატებული დანერგვა საჭიროებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული სისტემის შესაძლებლობას, მოახდინოს რეაგირება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობაზე საერთაშორისო და/ ან ეროვნულ დონეზე. ქვეყნების მხოლოდ 16%-მა მიაღწია ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების ძირითადი მოთხოვნების სრულ დანერგვას ჯანმო-ს მიერ პირველ დაწესებულ ვადაში (2012 წლის ივნისი) და საქართველოც სწორედ მათ შორის იყო.



საქართველო აქტიურად არის ჩართული არსებულ ეროვნულ სისტემაში ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების დანერგვაში. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (დკსჯეც) წარმოადგენს ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების (ჯსწ) ეროვნულ კოორდინატორს და ხელმისაწვდომია კომუნიკაციისთვის ნებისმიერ დროს ჯანმოს ჯსწ საკონტაქტო პუნქტთან, ადგილზეა 24/7 მორიგე ოფიცრის სისტემა. დკსჯეც იღებს ეროვნული ზედამხედველობის სისტემიდან და სხვა დაინტერესებული მხარისგან შეტყობინებებს, აფასებს რისკს და 48 საათის განმავლობაში ატყობინებს ჯანმოს ჯსწ საკონტაქტო პუნქტს.



ჯანმრთელობის გლობალური უსაფრთხოების დღის წესრიგი (GHSA), რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2014 წლის თებერვალში, წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობას ინფექციურ დაავადებათა საფრთხეებისგან დაცული მსოფლიოსათვის, მისი მიზანია, თავი მოუყაროს ერებს მთელი მსოფლიოდან და ჩამოაყალიბოს ახალი, კონკრეტული მოვალეობები, აამაღლოს ჯანმრთელობის გლობალური უსაფრთხოება, როგორც პრიორიტეტი ეროვნულ დონეზე. მისი დაწყების დღიდან GHSA საქართველოსთვის გახდა ახალი ხედვა. პირველი გარე საბაზისო GHSA

შესაძლებლობების შეფასების ჩატარების დროს საქართველომ მხარი დაუჭირა **„ზოონოზური დაავადებების“** და **„ეროვნული ლაბორატორიული სისტემის“** სამოქმედო პაკეტებს და გახდა ლიდერი **„რეალურ დროში ეპიდზედამხედველობის“** სამოქმედო პაკეტის.

საქართველოს დელეგაციას ჰქონდა პატივი მიეღო მონაწილეობა გლობალური ჯანმრთელობის უსაფრთხოების ყველა მნიშვნელოვან შეხვედრაში.



ინფორმაციის გაცვლა GHSA- თვის ითვლება გადამდები დაავადებების კონტროლის და მართვის მნიშვნელოვან მაჩვენებლად. ამ თვალსაზრისით აბრეშუმის დიდი გზის ეპიდზედამხედველობის ქსელი, როგორც რეგიონული პარტნიორობა, აერთიანებს საქართველოს, აზერბაიჯანს, უკრაინას და ყაზახეთის პროფესიონალებს ადამიანის და ცხოველის ჯანმრთელობაში და მუშაობს, რათა შექმნას მდგრადი, ინტეგრირებული ზედამხედველობის სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ,,ერთიანი ჯანმრთელობის“ პერსპექტივას და მხარს დაუჭერს გლობალური ჯანმრთელობის უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებას რეგიონში.

გამოწვევები და შემდგომი აქტივობები

იმისათვის, რომ ვიყოთ მზად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის, აუცილებელია შეიქმნას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო სიტუაციების ოპერაციების ცენტრი (EOC), GHSA და ჯსწ ძირითადი შესაძლებლობების შესაბამისად.

მულტისექტორული თანამშრომლობა წარმოადგენს გასაღებს ჯსწ (2005) წარმატებული დანერგვისათვის. ინფორმირებულობის ამაღლება ჯსწ-თან და მის მიზანთან დაკავშირებით არა-სამედიცინო სექტორებში მიჩნეულია ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად.

მას შემდეგ, რაც საქართველომ აიღო პასუხისმგებლობა გაუძღვეს წინ „რეალურ დროში ეპიდზედამხედველობის“ სამოქმედო პაკეტს, დაიგეგმა შეხვედრის ორგანიზება ყველა პარტნიორი ქვეყნის და ორგანიზაციის გაერთიანების მიზნით, რათა გაძლიერდეს ძალისხმევა ინფექციური დაავადებების საფრთხეების თავიდან აცილების, გამოვლენის და რეაგირების მიზნით. იგი ასევე მხარს დაუჭერს ჯსწ შესაძლებლობების მუდმივ გაძლიერებას.